

РУЗ. РМБРД

РУЗЕЛ  
ДИВОВО

19 0302000 32



ତରୁପତନୀକୁ

۹۱۳. ۹۲۶۴۷

# ԲՅՈՒԹ ՎՈԼՔՎՈԼՈ

34852

ԱՊՐԻԼԻ ՑԱՀԱՄՑԵԱ

ԺՅՈՒՆԵՍ

1932



## ჩვენი ფისცილი.


სამხარათაცოდნიო რჩეულიდან.

მთვარიანი ღამეა. რუს პირას დარაჯად ჩამწკრივებული ტირიფის ხეები წყლის სარკეში ალერსით უმზერენ თავის მოვერცხლილ მკლავგაშლილ ტოტებს და შრიალა ფოთლებს. რუ შორი გზიდან მომავალია. მთის პატარა მდინარიდანაა გამოყვანილი. ჯერ ჩვეულებრივ დამიწულ არხში მოჩუქჩუხებს, აქ კი, გაღმოუხვევს თუ არა ტირიფთა საგუშაგოზე, მას ფიანდაზად ქვეშ დაეგება კაცის ხელით გამართული ფიცრული კალაპოტი, იატაკით, ჭედლებითა და მოაჯირით დამშვენებული წისქვილის სათავე.

— ფეხს აუჩქარე, წყალო, შენს მოლოდინშია მთელი სოფელი. რა დაგმართნია, მოდუნებულხარ! — ფხიზლად დაუხვდა რუს წისქვილის სათავე.

— განა მე კი მსურს ზანტად ვიარო, ისიც დაკლებულდაკნინებული? რა ვქნა, გზა-გზა დამწყვიტეს, ხან ერთ ყანაში გადამისროლეს, ხან მეორეში, დამწრიტეს, ძლივს გადავურჩი. ეკითხოს გვალვას, თორემ წინათ ყანასაც ვრწყავდი და შენს გარდა სხვა ბევრ წისქვილსაც ვაბრუნებდი. გამართლდა ბერიკაცის ნათქვამი, გასულ კვირას რომ არწმუნებდა მეწისქვილეს: მთვარე გადაბრუნდა, გამოდარებისაა, ჯერ კიდევ გამოისნეულებს და მერე ამინ-

დი დადგებაო. სხვისი ამინდი — ჩემი უამინდობაა. აჰა,  
მოვედი! მოახმარე ჩემი თავი სოფელს. — ატორტმანდა  
ცელქი რუ წისქვილის სათავეში.



წისქვილის სათავე.

— სიტყვა-პასუხში ტოლი არა გყავს, შენთან უღურ-  
ტული ვის მობეზრდება, მაგრამ დრო აღარ ითმენს: საყე-  
ნებელავ, გზა შეუკარი და მარტო ერთ ლარში გადაუშვი,  
ერთ ქვას ააბრუნებს, მეტს ვერ გასწვდება. ფარცხო, გა-  
წურვა არ დაგავიწყდეს! — მიმართა თავის ნაწილებს წის-  
ქვილის სათავემ.

ფარცხში გაწურული წყალი საყენებელას მიერ მიჩენილ  
ლარში თავქვე დაეშვა, აგორდა, აქაფდა და წისქვილის  
ბორბალს დაეძგერა.

წყლის ჩხრიალზე მეწისქვილესაც გული აუტოკდა. სიხარულით წამოხტა ზეზე. ხვიმირაში ხორბალი ბლომან ჩაყარა. აუშვა წისქვილი. თვითონ კი ტახტზე მხართეძოზე წამოწვა და თვალი მიღულა.

აბზრიალდა წისქვილის ბორბალი და აქაფებულ მორევში გაეხვია.

— არ მასვენებენ, კვლავ თავს დამესხენ ხმალამოწვდილი ავაზაკები! — გაიძახოდა ბორბალი და თავდამსხმელებს ციბრუტისნაირი ტრიალით იგერიებდა.

— ფარცხის გადამკიდეს რისი-ლა იმედი უნდა გქონდეს, ჩემო ბორბალო, — ჩაუჩურჩულა ყურში ბორბალა ლარმა. — კარი ღია აქვს, გაღმოუშვებს ამდენ გიუმაჟ წყალს და რა ენაღვლება — იმტვრიოს თავი ბორბალმა!

— არხო, გესმის — როგორ მაბეზლებს ბორბალთან ლარი? — შესჩივლა არხს ფარცხმა. — სულ გადაგვირია ბორბალი. ვითომ არ იცის, რომ წისქვილის პირველი ოსტატი საყენებელაა. ისაა წისქვილის ამშვებიცა და დამყენებელიც: რომელ ბორბალსაც წყალს მიუგდებს, მას აამუშავებს, ხოლო რომელსაც წყალს ააცილებს, მას დააყენებს.


— შუბლებარეცხილ ლარისაგან არაფერი გეწყინოს. — ანუგეშა ფარცხი არხმა. — მაბეზლარობის მეტი რა შეუძლია. დაულია ხახა და ხვრებს და ხვრებს წყალსა. შენ რომ არ იყო გამწურავი, ვინ იცის, რამდენ ფიჩხსა და ჩალაბულას მიაყრიდა ბორბალს, ან დასილავდა, ან კბილებს ჩაუმტვრევდა. ადრე თუ გვიან ბორბალიც გაიგებს მის ავკაცობას. ახლა კი რა გაეწყობა, ორგულ მეზობელს უფრო უჯერის, ვინემ შორეულ უცნობ მეგობრებს.

— ვიშ, რა ლამაზი ალმასები მეყრება გულმკერდზე. — ამღერდა ბორბლის ლერძი. — რა მეშველებოდა თავბრუდახვეულს, ეს ცივი წინწკლები რომ არ მაფხიზლებდეს!

— ალარ მინდა, გამაჩერეთ! ალარ მინდა, ალარ, ალარ! —  
მოისმა წისქვილის შიგნიდან მუდარა.

— რა ამბავია, ღერძო, ვინ ჩივის, ვინ გოდებს? — იკით-  
ხა ბორბალმა.

— დოლაბია! — მიუგო ბორბალს ღერძმა. — ერთი ბო-  
ლოთი ხომ შენზე ვარ დამაგრებული, მეორე ბოლოზე  
არქის მეშვეობით წისქვილის ზედა ჭვა ანუ ჟედა-დოლაბი  
მაქვს წამოცმული. შენ მე მატრიალებ, მე კი იმ ზედა-  
დოლაბს ვაბრუნებ გამალებული.



დოლაბი.


— მაშ, ჩემთვის გასაგებია, ღერძო, ზედა-დოლაბის ჩი-  
ვილი. მე და ის ერთნაირ ტაფაში ვიწვით.

— ალარ მინდა, ალარ, ალარ! — ამაოდ გოდებდა ზედა-  
დოლაბი.

— აკი ცეკვას გიქებენ! — ამოსძახა ნიშნის მიგებით შუ-  
რიანმა ქვეშა-დოლაბმა.

— თუ ასე გშურს, შენც აცეკვდი, ნახე — რა სახარბიე-  
ლოა დაუსრულებელი ცეკვა-ტრიალი. — თქვა გულის  
ტკივილით ზედა-დოლაბმა. — ნეტავ შენსავით მომასვე-  
ნებდეს ვინმე!


— ქოდი, გავცვალოთ ჩეში უსახელო მოსვენება და „შენი სახელოვანი ცეკვა! — არ ისვენებდა ქვეშა-დოლაბი. არც მე ჩამოგრჩებოდი ცეკვაში, მაგრამ ასე ინება ჩვერშა მეწისქვილემ — მე ღერძი თავისუფლად გამიყარა გულში, შენ კი ზედ მჭიდროდ წამოგაცო. ბრუნავს ღერძი და ოზნავადაც არ მეხება, არა თუ ჩემს გატაცებაზე ფიქრობდეს. წისქვილის მნახველი პირველად შენზე შეაჩერებს თვალს. მასწავლებელმაც თავის შეგირდებს შენს დანახვაზე ასე უთხრა: მთელ ამ დაწესებულებას წყლით ამოძრავებული ქვის სახელი დარქმევიაო, წყლის ქვილი ანუ წისქვილიო. თითქოს, რაკი მე უძრავად ვარ, უშრომელიც ვიყო. ლეჭ-სებშიაც შენ ხარ ქებული: „დოლაბი ბრუნავს და ბრუნავს მალადაო“. ჩემი ზურგი რომ არა, შენი ხანი რას გახდებოდა! შენს ხანში მოხვედრილი მარცვალი ყველა ჩეშს ზურგზე იტეხება. |



დოლაბების განაკვეთი — ჩანს: ზედა-დოლაბის ხანი და ქვეშა-დოლაბის ზურგი.

— კარგი და ჩემი მოკოდვა რამ დაგავიწყა? მართალია, ჩემი ამოლრმავებული ხანით შენს ამობურთულ ზურგს ვა-

წვები და ხანსა და ზურგს შორის მოქცეული მარცვალი იტეხება, მაგრამ ტეხვის გარდა წმინდად ფქვაც ხომ აა-კიროა! ჰო-და მარცვლის წმინდად დასაფქვავად ქვის **ნაპი-რებზე** ოლრო-ჩოლრო ჭდები უნდა დამაჩინონ. აიღებენ **საკოდელს** და დამიწყებენ მოკოდვას. — მოაგონა გულ-მავიწყე ქვეშა-დოლაბს ზედა-დოლაბმა.



საკოდელი.

— დიდი ამბავი! — გააწყვეტინა სიტყვა ქვეშა-დოლაბმა. — დახე, მარტო შენთვის მოუცლია ყველასა! მოკოდვა არც მე მაკლია. ჰკითხე საკოდელსა და ის გეტყვის — როგორ მაკვესებს ხოლმე ცეცხლის ნაპერწკლებს, როცა გახურდება მომკოდელის ხელში. ამაზე რაღას იტყვი — სრულიად უმიზეზოდ რომ შეწყვეტ ფქვას და მეწისქვილეს უსირცხვილოდ ორგულობ!

— უმიზეზოდ ფქვა არაოდეს არ შემიწყვეტია და თუ დამმართნია ასეთი მარცხი, ორგულობითაც არ აიხსნება. —

განუმარტა ზედა-დოლაბმა. — მოკოდილი ნაჭდევები რომ  
დაცვდება და ნაპირები მოილესება, ზედა ქვა ქვეშაზე  
დავალ და ფქვაც მაშინ შეწყდება. ნაპირები უფრო მალი-  
მალ ცვდება და ილესება, ვინემ ქვების შუა ნაწილები —  
ჩემი ხანი და შენი ზურგი. ხანი ისე ძლიერ როდი აწვება  
ზურგსა, როგორც ნაპირები ერთმანეთს. ამის გამო ნაპი-  
რებს უფრო ხშირად სჭირდება მოკოდვა, ვინემ შუა ნაწი-  
ლებს. შუანაწილების ურთი მოკოდვიდან მეორე მოკოდ-  
ვამდე ნაპირები ორჯერ-სამჯერ მოიკოდება. მეწისჭვილებ  
ეს შენზე უკეთ იცის და, მგონია, შენი გამოსარჩლება მის-  
თვის სულ ზედმეტია.

— ნედლი ჭინახულით რომ ნაჭდევებს ამოიგლეს და მარ-  
ცვალს პირს ვეღარ ჰქიდებ — ამას მაინც რათ აფუჩეჩებ? ამის მეტს რას ვხედავ! იქნებ გეგონა — ამ შენს უზნეობას  
არ გავამხელდი! რა ხეირს დააყრი საწყალ მეწისჭვილეს,  
თუ მაშინვე საკოდელით არ შემოგაცალა ნაგლესი ჭი-  
ნახული!

— ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო! ნედლი ჭი-  
ნახულით ნაჭდევების ამოგლესვას არც შენ თაკილობ და  
ამ უზნეობაში არა თუ ჩამომრჩები, ბევრად უფრო მაჭარ-  
ბებ კიდეც. მაგრამ ვის არ გაუგონია მეწისჭვილის სიტყვე-  
ბი ამ დროს: ქვებს ნაგლესი ჭინახული შემოვაცალოთ, თო-  
რემ წისჭვილი თავს იკლავს, ბრუნავს და მაინც არაფერი  
გამოუდისო. საყვედური გამოიხატება ამით, თუ თანა-  
გრძნობა? ან ვის თანაუგრძნობს მეწისჭვილე — მე თუ შენ?  
მე რომ მართლა თავს ვიკლავ და ვბრუნავ, შენ ამ დროს  
როგორც ყოველთვის, გდიხარ შენთვის გასავათებული.  
მეტი რა გინდა — ნაპირებზე ქვემოდან სოლები შემოგიდეს,  
გვერდები კი თიხით ამოგიზილეს, რომ ურყევად დამაგრ-  
დე შენს საძირკველზე. ყველაფერში რომ მეღავები, გვო-

ნია გამოლმა შემოდავებით გაღმა შეგრჩება რამე! ერთხელ  
და სამუდამოდ დარწმუნდი, რომ შენ ჩემთან ჯიბრი არ  
გაგივა, ხმა გაიკმინდე! — თქვა ზედა-დოლაბმა და ამაყი  
ბრუნვა-ტრიალით თავისი გზა განაგრძო.

— ნუ დიდგულობ, თორემ... — დაემუქრა ქვეშა-დოლა-  
ბი. — გადმომხურვიხარ თავზე სარქველივით და შენი გა-  
მოისობით არც არავინ იცის — ვარ თუ არა ამ ქვეყანაზე!  
ახლა ხმაც გავიკმინდო? ამას რას გადავეყარე, თქვენა  
ჭირიმე. კიდევ-გარემო მაინც მიჩანდეს, ირგვლივ ქუბაკი  
შემომარტყეს. მხოლოდ წინ, სადაც აუცხებელი ხარო —  
გაუმაძლარი ალა დგას, ჩემს ქუბაკს პირი აქვს და პირთან  
ცოტათი მოვჩანვარ. არა, ვერ დაგეჩაგვრინები, დეე, ყვე-  
ლამ იცოდეს, რომ ზედა-დოლაბის ქვეშ არა-ნაკლებ შრო-  
მობს ქვეშა-დოლაბი.


— ოჰ, რა მწარე ენა გაქვს, ქვეშა-დოლაბი! — ამტვერ-  
და ალა. — ისე მაყვედრი გაუმაძლრობას, თითქოს შენი  
წყალობით ვიკვებებოდე. ქუბაკი რომ არ მშველოდეს,  
არც ერთი დოლაბი არ გაიმეტებდით ჩემთვის ფქვილსა,  
სულ აქეთ-იქით გაფანტავდით. მერე როგორ მიყვარს თბი-  
ლი ფქვილი! ამით მაინც დამაფასე, შე უმადურო, მე რომ  
აქ არ ვიდგე, ქუბაკს პირსაც არავინ გაუკეთებდა და და-  
მირჩებოდი ყველასათვის უჩინარი, მზე-დაბნელებულა.  
ქმარა, ნუ დავობთ! გადმომიყარეთ თბილი ფქვილი, გად-  
მომიყარეთ! ოლონდ იცოდეთ — ორივე დოლაბმა ავი ზნე  
უნდა მოიშალოთ: ახალ მოკლილზე ქვიშას ნუ მოატანა,  
თითქმის პირველი 10 კილოგრამი ფქვილი ქვიშა-ნარეკა  
და საჭონლის საკვებად მიდის, პირში სულ რაწკა-რუწკი  
გააქვს.

— ლრია-ლრია, ლრია-ლრია! — ალრიალდა ზედა-დოლაბი ქვეშა-დოლაბზე და თბილი ფქვილი ალას ხახაში ჩა-აყარა.

— უკაცრავად, ამდენი მოთმენა აღარ შემიძლია; ყველა თავისისას ამბობს და ჩემი დინჯი, მოფიქრებული საჭმიანობა რათ არ დაფასდეს! — თქვა ფაცხას ასაწეველა კეტმა. — წისქვილის საძირკველზე დარიკულ ფაცხას ერთ ბოლოზე რკინის ორგაპი აქვს, რომელიც ბორბლის ბუროს ქვეშ უდევს და მასში ბრუნავს ბორბალი თავისი ფეხით, მეორე ბოლოზე კი კეტი ვარ ამართული. მეწისქვილებმე თუ ამწია, ფაცხაც აიწევა, ფაცხა ბორბალს ასწევს, ბორბალი ლერძსა, ლერძი ზედა-დოლაბს, ამით სამგვარ დანიშნულებას ვასრულებ: ა) როცა მაღლა ამწევენ, ბორბალს, როგორც იტყვიან, ქარი შეუდგება და საყენებელას მიერ ღარში გადმოშვებული წყლის მოწოდით დატრიალდება; ბ) როცა ძირს დამიშვებენ, ბორბალს წყალი ველარ მოერვა, ველარ ააბრუნებს და წისქვილიც გაჩერდება. წისქვილის გასაჩერებლად, მართალია, საყენებელაც საჭიროა, მაგრამ თუ ჩემი დაშვებით ქვა ქვაზე მჭიდროდ არ დაედო, ცოტა წყალიც მოატყუილებს ბორბალს და წისქვილიც ვერ გაჩერდება. მაშ, ორსავე შემთხვევაში, როგორც წისქვილის აშვებასა, ისე მის გაჩერებაში, საყენებელასთან ერთად მეც დიდი მნიშვნელობა მაქვს; გ) ჩემი მესამე დანიშნულება არა-ნაკლებ საპასუხისმგებლოა: მეწისქვილე რომ მაღლა ამწევს და წისქვილს აუშვებს, შემდეგ იწყება უდიდესი ზრუნვა, როგორ დამაყენოს ისე, რომ მარცვალი მისი სურვილისამებრ დაითქვას. თუ წმინდად ფქვა უნდათ, ისე უნდა ამწიონ, რომ ზედა-დოლაბი ცოტათი აიწიოს და მასა და ქვეშა-დოლაბს შორის მცირეოდენი არე დარჩეს. რაც უფრო გააფართოვებს მეწის-

ქვილე ამ არეს, მით უფრო უკლებს წისქვილი წმინდად  
ფქვასა და მარცვალი დაიღერლება. ამ დროს წისქვილი  
**როშავს.** მარცვლის დასაროშავად თითქმის ერთი-სამად  
უფრო მაღლა უნდა ამწიონ წმინდად დაფქვასთან შედა-  
რებით. ამგვარად წმინდად დაფქვილი თუ როში ორივე  
ჩემი მართებულად აწევ-დაწევის შედეგია. მართალია, თა-  
ვი-ძალა ფაცხაა, გინდა **აუმჩატებ** დასაროშავად, გინდა  
**დაუმძიმებ** წმინდად დასაფქვავად, მაგრამ ფაცხას უჩემოვ  
როგორ ასწევ-დასწევენ! კიდეც ამიტომ დამარტვეს ფა-  
ცხას ასაწეველა კეტი. აი, წელანაც თავის ჭკუაზე ამწი-დაწ-  
წია მეწისქვილემ, დაუკვირდა ფქვის ზომას, დამაყენა ერთ  
დონეზე, და, რომ არ გადავუხვიო მის სურვილს და არ  
გადავქანდე, იღლიებში ყავარჯნად **სოლები** შემომიწყო.

— შენც ისე გააბი, ჩემო ჭკვიანო ასაწეველა, რომ ალამ  
დრო იხელთა და ფქვილს ეგზომ დაეხარბა — ქუბაკის პი-  
რამდე აივსო. — თქვა **ნიჩაბმა.** დაფაცურდა ნიჩაბი, ქუბა-



ნიჩაბი.

კის პირთან ალაში დაგროვილი ფქვილი მისწი-მოსწია  
და დოლაბებიდან მომავალ ფქვილს გზა გაუკაფა.

— ფქვილის მოვლა რა დიდი საქმეა, შენ ისა თქვი —  
ფრთხილი მარცვლები ხვიმირადან გარეთ როგორ გამო-  
იტყუო. არც ერთს არა სურს ადგილიდან დაძრა და სა-  
ქვეყნოდ თავის განწირვა. — შეინძრა ხვიმირას ძირას გა-

შობმული პატარა გობი — კრიჭა. იქნებ გვიმირა ზანზარებს და მარცვალიც იმის ზეგავლენით მოცურავს წყნარად! თქვენც არ მომიკვდეთ! ძაბრისებური ხვიმირა მარჯვედ უჭირავს ხელთ მის თავხეს — **სარტყელს**. სარტყელი ხვიმირას საპყრობილეა. მე ვარ რაცა ვარ. მუდამ ვხტივარ, რომ უძრავ მარცვლებს სარმა გამოვსდო, ფეხი გამოვუშალო და თავდაყირა ხვიმირადან დოლაბის თვალში გადავისროლო. ზოგჯერ დოლაბის თვალში პატარა ქილა — **ბუკი** ანუ კოკოშა არის ჩადგმული, რომ მარცვალი არ დაიბნეს.

— შვილო ვახტანგაო, ძალად გახტუნებენო — ნათქვამია, — ჩამოერია **სარეკელა**. — ჩემს თავხეს ვენაცვალე, რომ არ მღალატობს: გადაუდვია მხარი კრიჭას მხარზე, ავხტები თუ არა, ისიც უმაღლ ახტება და კრიჭასაც აახტუნებს.

— ონავარი სარეკელაა ჩვენი დამამშვენებელი. — თქვა ქვეშა-დოლაბმა. — ყური უგდეთ მის სიმღერას: რირიკა, რიკრიკა! რირიკა, რიკრიკა! ძუნწი კრიჭა კი საცოდავად წაწყანებს და პირზე სულ ეს აკერია: ცოტა! ცოტა! ცოტა! ცოტა! თითქოს მარცვალი არ ემეტებოდეს ჩვენთვის.

— დიალ, დიალ, დიალ, დიალ! — დაადასტურა ზედა-დოლაბმა. — მაგრამ, სადაც ესა თქვა, იქ ისიც დაუმატე, რომ სარეკელას მე ვახტუნებ და ტაშს ვაკვრევინებ. სარეკელას ტაშზე ყველა მხიარულობთ და, მე თუ აქ რაიშე შუაში ვარ, განზრახ ივიწყებთ.

— გიხაროდეს, ზედა-დოლაბო, კვეხნის შემთხვევა ერთხელ კიდევ მოგეცა. მე შენ გეტყვი — საამისოდ ჰმა არ მოგდევს შესაფერი. ნუ გეშინია, დამშვიდდი, არავის დაურჩები შეუმჩნეველი. — დაამწყრალა კბილთა ღრმუნით ქვეშა-დოლაბმა.


— მკვეხარაო! მკვეხარაო! თქვი, ვინ არის მკვეხარა! თქვი ჩქარა! თქვი ჩქარა! — გამოიწვია კრივში ზედა-დოლაბმა ქვეშა-დოლაბი, და ვინ იცის ამ დავას რა უსია-მოვნება მოჰყვებოდა, ჯ მაგრამ:

— შენც მართალი ხარ და შენც! — მოისმა მიუღომელ მსაჯულის ხმა და ორივე დოლაბმა ყური მას მიაპყრო. — ჩუმ მუშაკს არავინ ამჩნევს ამ ქვეყანაზე. სულ მუდამ დაძაბული ვარ; ვშიშობ კრიჭამ ან სულ არ შეაჩეროს მარ-ცვლის გადმოცურება, ან ერთბაშად არ გადმოყაროს ყვე-ლა, რაც პირზე მოადგება. თუ გინდა კრიჭამ მარცვალი გადმოაცუროს, მისი პირი უნდა დაუშვა, თუ გინდა ზომა-ზე მეტი არ გადმოყაროს, მას პირი უნდა აუკრა. ზომაზე მეტი მარცვალი თუ გადმოცურდა კრიჭადან, წისქვილი შესაძლოა ისე გაიჭედოს, რომ გაჩერდეს კიდეც. ზედმეტი მარცვლის გადმოცურება იმ დიდ ლუკმას უდრის, რომე-ლიც კაცმა პირში ჩაიდო და ვეღარ გადაყლაპა. მარცვლის ზომიერი რაოდენობით გადმოყრას მე ვაწესრიგებ კრიჭას აწევ-დაწევით. ამ მიზნით კრიჭაზე ვარ გამობმული, ზევით კოჭაზე გადატარებული, შემდეგ რიკზე გადაგრეხილი. თა-ვისუფალ ბოლოზე ყურ-გახვრეტილი რიყის ქვა მკიდია, რომ კარგად შევიმაგრო კრიჭა და ხელიდან არ გამი-სხლტეს. ყველაზე წინა ვარ გამოჭიმული და მაინც არავინ მამჩნევს!.. — გაუბედავი ხმით ჩიოდა კრიჭას ასაწეველა თოკი.


— შენც დიდგულობ! შენც დიდგულობ! გაჩუმდი! გა-ჩუმდი! — დაარიგა კრიჭას ასაწეველა თოკი. ზედა-დო-ლაბმა და დგანდგარს კიდევ უფრო უმატა.

— სინიდისიც კაი საქონელია, ხმ, ხმ! — ჩაახველა და დაიწყო სარიხინომ. — თავთავის ქებას რომ მოყევით, ერთ-ხელ მაინც მოიგონებდით ჩვენს მეწისქვილეს. განა ყველა

იშის თაოსნობით არ შევკრუბილვართ აქა? ჭკვიანმა ფაც-ხას ასაწეველა კეტმა სიტყვაში კი გამოურია მეწისქვილის სახელი, მაგრამ მაინც თავის საქებრად გამოიყენა. სწორედ მაგაზე თქმულა: ხელში აქვს კეტი, თავში კი რეტი! აბა, ერთი კითხეთ მხერხავ ვანოს, რათ დაანება თავი მეწისქვილეობას? დღესაც გაიგონებთ მისგან: შვილსა და შვილი-შვილს ანდერძად უნდა დავუბაროო, რომ მეწისქვილეობას არამც და არამც ხელი არ მიყონო. მხერხაობაც რა ძნელი ხელობაა, მაგრამ მეწისქვილეობა კიდევ უფრო ძნელი ასატანია. მეწისქვილეს ძილი მუდამ გატეხილი აქვს. იგი ვერაოდეს გუნებით ვერ დაიძინებს. მისი ძილი იმ კაცის ძილსა გავს, რომელსაც თვალი მიულულავს, მაგრამ ცდილობს არ ჩაეძინოს, რაღან მოლოდინშია — აგერ-აგერ უნდა დაუძახონ და ზეზე წამოაგდონ. მეწისქვილის შრომა — ვიმეორებ, განუზომელია! სულზე ხელი დაიფარეთ და გამოტყდით: რომელი თქვენგანი ზრუნავს მეწისქვილეზე? რომელ თქვენგანს შეტკივა მისთვის გული? ერთად-ერთი მე ვარ, რომელიც უზომო ჯაფით მოლოილ მეწისქვილეს ძილისა და მოსვენების საშუალებას ვაძლევ, თუმცა მაინც და მაინც ვერც ჩემი იმედით დაიძინებს ტკბილად. ჩვეულებრივ, მართალია, ხვიმირას გარეთ გვერდზე ვარ ჩამოკიდებული მაგრამ, როცა მეწისქვილეს ძილი მოერევა, ამსხნის და ამიშვებს. ჩემი ითოკი ხვიმირას გახვრეტილ გვერდშია გაყრილი და ერთი ბოლოთი ხვიმირას შიგნითა კედელზე ვარ მილურსმული. ხვიმირას გარეთ თოკის მეორე ბოლოზე რამდენიმე გაცვეთილი ნალი მკიდია, ესაა მთელი ჩემი ავლა-დიდება. სანამ ხვიმირაში მარცვალი, ან, როგორც ჩვენი მეწისქვილე იტყვის, ჭინახული ბლომდაა, მეც ამ ჭინახულის სიმძიმეს განვიცდი და ჩაზნექილი ვარ, როცა კი ხვიმი-




ხეიმირას განაკვეთი — ჩანს: სარიხინოს თოკი, როცა მას ჭირ-  
ნახული აწვება.



ხეიმირას განაკვეთი — ჩანს: სარიხინოს თოკი, როცა მას ჭირნა-  
ხული არ აწვება.


რაში ჭინახული გამოილევა, გარედან ნალების სიმძიმე გადამძლევს, წელში გავიმართები, თოკის გარეთა ნაწილი ამის გამო დაგრძელდება, ნალები დოლაბს დაედება და მოძრავ ქვაზე გაისმის ჩემი ძლევამოსილი რიხინი. მეწის-ქვილე მაშინვე გამოიღვიძებს — თუ ეძინა, ან ტკბილ საუბარს შეწყვეტს — თუ ტოლ-ამხანაგებში ერთობოდა, და იტყვის: წისქვილი ახივლდა, დახე, ცეცხლიც სცვივა, გაანათა, ჩანს ჭინახული ჩამოსქულაო, ვითომ ხვიმირაში მარცვალი გამოლეულაო. ან ისევ დააყრის, აავსებს ხვამირას, ან არა და წისქვილს გააჩერებს, თორემ ცარიელი წისქვილის მუშაობა, მისი ხივილი მოკოდილ ქვებს მთლად გასცვეთს და გააფუჭებს. ახივლებულმა წისქვილმა ერთი ათჯერ რომ შემოურბინოს, დოლაბები, თუნდა ამ დღის მოკოდილი იყოს, ხელახალი მოსაკოდი შეიქნება, მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი მუშაობის დროს დოლაბებს ერთი მოკოდვა ერთ თვეს ყოფნის. წისქვილი თუ ახივლე, რაღა მეწისქვილე ხარ! მერე და, ნეტავ იცოდეთ, რა უბარაქოა მეწისქვილის მოუსვენარი შრომა: დღე-ღამეში ერთი თვა-



სამინდე ჯამი.

ლი წისქვილი, ე. ი. ერთ-ქვიანი, 5 კოდს მარცვალს თუ დაფქვავს, მეტს ვერა, ერთ სათში კი დაახლოებით 2 ჩანახს (კოდში 8 ჩანახია, ჩანახში 10 კილოგრამია).

— უზომო ჯაფით თუ არის მოღლილი შენი მეგობარი მეწისქვილე, უზომო მინდსაც ართმევს საფქვავის პატრონს, ენა-ტარტარა — საქმე-პატარა სარიხინო! — თავს წამოადგა სარიხინოს სამინდე ჯამი. — ხარბმა მეწისქვილემ ყველას შეაძულა ჩემი თავი. ერთი შემთხვევა არ მახსოვს ისეთი, გლეხმა ხელში არ შემატრიალოს და არ დამაძახოს: შენა ხარ ჩვენი დამავსებელიო! ჩემს დანახვაზე საფქვავის პატრონს ტანში უსიამოვნო ურუანტელი დაუვლის ხოლმე. საფქვავის პატრონი ისე მოურიგდება მეწისქვილეს, რომ ჩანახზე ერთ ჯამს აძლევს მინდსა, ისაც სილა-ჯამს, ე. ი. ისეთს რომელიც პირისპირ სწორად იქნება ფქვილით თუ მარცვლით სავსე. მეწისქვილე კი პირობას არ დაგიდევს: ამოუდებს ჯამს ფქვილსა თუ მარცვალს და რომ ნახო გაგიკვირდება, ისე აიყორება ჯამში მინდი, ზემოდან ერთი იმდენი კიდევაა დართული, რაც შიგ ჯამშია. ამაზე იტყვიან — სილა-ჯამის ნაცვლად მეწისქვილემ თავი-ჯამი, ანუ თავ-ადგმული ჯამი აიღოო. მეწისქვილეს




თავ-ადგმული ჯამი.

ესეც ეცოტავება თვალში და სულ თავცარიელას მეძახის. არც აქაურ სასწორსა და ჩანახს ემადლიერებიან, ამათაც სიყალბეს სწამებენ. ჯერ ერთი, სასწორი იშვიათად თუ

დგას წისქვილში. თუნდაც იდგეს, ყველამ როდი იცის, რომ ათწილად სასწორზე წონის რომელიმე ზომა ათჯერ მეტს პასუხს იძლევა, მაგალითად, ამ სასწორზე ერთ-კი-ლოგრამიანი აბრა ათ კილოგრამს ეწონასწორება. უვიკ კაცს მეწისქვილე სულ ადვილად გააცურებს და საფქვავს დაკლებს. მეორე კიდევ: წონით იშვიათად თუ ჩააბარებენ ან გამოართმევენ საფქვავს მეწისქვილეს, თვალ-და-თვალ მოზომილს ჩააბარებენ ან გამოართმევენ. ამ შემთხვევაში მეწისქვილეს რჩება ბურთი და მოედანი. აი, როგორ: ვთქვათ, საფქვავად მოტანილია ხორბალი. თუ სავსე მარ-ცვალია, იგი ფქვაში, მართალია, არ მოიმატებს, მაგრამ არც დაიკლებს. ერთი ჩანახი ხორბალი ისევ ერთ ჩანახ ფქვილად იქცევა ხოლმე. მაგრამ, თუ მარცვალი მჩატეა, მაგალითად, გვალვისაგან მოალულია, აჩალულია, მო-სწრაფებულია, გამოფიტულია, დასუსტებულია და კან-ქვეშ შიგნით ფულუროსავით ცარიელია, იგი ფქვის დროს სულ ბდლვირად მიდის და წონაში თითქმის ნახევრდება, ერთი ჩანახი მჩატე მარცვალი ნახევარ ჩანახ ფქვილად იქცევა. ჰო-და, მოდი და ეკამათე ახლა მეწისქვილეს, როცა ფეხს მოგიდგამს და დაგიჟინებს: „აჩალული იყო და ფქვაში იკლო. ჩემმა მზემ სჯობდა საწყავით არ მიმეღო, ნეტავ წონით მიმეთვალა. ეხლა რა გამოვიდა, ფქვაში იკლო და დანაკლისი საიდან-და შეგივსოო“. თუ საფქვა-ვად სიმინდია მოტანილი, მაშინ უნდა იცოდე, რომ სიმინ-დი ფქვაში იმატებს, ეთთი ჩანახი კაი სიმინდის მარცვალი ფქვილად ერთ ჩანახშივე ველარ ჩაეტევა, ცოტა მეტი გა-მოვა, დაახლოვებით ერთ ტომარას ერთი ჩანახი მოემა-ტება, მაგრამ განა ყველა მიხვდება — რამდენს მოიმატებ-და ფქვაში მისი მარცვალი? მეწისქვილეს კი ხელფეხი გახსნილი აქვს, და, თუ იკადრა, რამდენიც სურს იმდენს


დააკლებს საფქვავს. ამას ისიც დაუმატე, რომ მეწისქვილის ჩანახი ჩვეულებრივ ჩანახზე უფრო მომცროა და ეს გარეგნულად არც ისე აღვილი შესამჩნევია. თუ რამე უთხარი მეწისქვილეს, ის მაშინვე ყურში ჩავლებს ხელს თავის ჩანახს და დაიკვეხნის: „რას ამბობ, ჩემი ჩანახი მამა-პაპეული ჩანახია, ნამდვილი ზომისააო“. განა ცოტა შეუძლია დააკლოს მეწისქვილემ საფქვავის პატრონს ასეთი ჩანახით? ვთქვათ, მართალი სასწორის მიხედვით იანგარიშეს — აქაც თავს იჩენს მეწისქვილის ჭოინი. კაი პური ერთნახევარჯერ მეტს იწონის, ვინემ იმავე რაოდენობის აჩალული, მჩატე პური, კაი პურის მაწირობა (სიმძიმე) მეტია, ვინემ მჩატე პურის. მეწისქვილესაც შეუძლია თქვას: „მჩატე პური იყო, მაწირობა ნაკლები ქონდაო“. და საფქვავის პატრონს ამითაც თვალს აუხვევს. ახლა ტომრის დატენას არ იკითხავთ? ისე დაიწყებს ტენას, რომ კუნჭულებს



ტომრის სატენი კეტი.

ცარიელს დაუტოვებს და ბოლოს ისე გამოიყვანს, ვითომც საფქვავი პირისპირ ჩააბარა პატრონს, ერთი ტომარა უნდა მიეცა და, აპა, ერთ ტომარას აძლევს, იმას კი აღარ დაგიდევს, რომ ტომარაცა და ტომარაც, საქმე გა-

ტენაა, კუნჭულები მთლად უნდა ამოივსოს, ტენა-  
ში კარგად უნდა მოიმარჯვოს ტომრის სატენი კეტი.  
ხედავთ — რამდენი გამოსაძრენი ხვრელი აქვს ხარბ  
მეტისქვილეს, თუ საფქვავის პატრონის აბუჩად აგდება  
მოიწადინა. მაწირობაზე აგებულ მეტისქვილის შარს  
კიდეც რომ გაუძლო და არ დაეჩაგვრინო, სასწორის  
საიდუმლოს, სულერთია, ვერ გამოარკვევ, ამას ხომ სხვა-  
ნაირი ცოდნა—კარგი ანგარიში უნდა. ამ შემთხვევაში



ძველი ჭდეებიანი ყანთარი.

თად-ერთი სწორი, უტყუარი საშუალებაა ძველი ყანთარი,  
რომელსაც მხარზე ერთ ბოლოში ასაწონი ჩანახი ჩამოე-  
კიდება, მეორე ბოლოში კი ჭდეები და ჭდისნახევრები  
აქვს დაჩენილი: ამ ჭდეებზე წონასწორობისათვის ქვა დაე-

კიდება ხოლმე. მიიტან საფქვავს და ძველ ყანთარზე ასწონი, დაიხსოვნებ - რაშდენი ჭდე არის შენი საფქვავი, ვთქვათ, 5 ჭდეა, ან 5 ჭდე და ნახევარი, ფქვის შემდეგაც ამდენივე ჭდე უნდა მიგიწონოს. აქ მოტყუილება ძნელია. „ჭდებრანი ძველი ყანთარი ნამდვილი სამართალია, იგი სასწორს ბევრად სჯობია“ - ო, გაიგონებით ხშირად გლეხებისაგან, მაგრამ აქ, თუ ცოდნა არაა საჭირო, სამაგიეროდ მოცლა გმართებს. გლეხებაც კი დროი ძვირად უღირს. ამიტომაცაა, რომ იგი მეწისქვილეს თავის ბედს მიანდობს, ზოგჯერ ძლვენსაც მიართმევს, იქნებ პურ-მარილმა გასჭრას და ცოტათი მაინც დამზოგოსო. ასე გასინჯე, მეწისქვილეს დაპირებულის ასრულებაც არა სჩვევია, პირის გამტეხია:


— სოლო, კი არ მომატყუილო, ამაღამ უთუოდ დამიფქვი, ორი კვირაა და მეტიც ტომარა აქა გდია! — ეტყვის საფქვავის პატრონი.

— ის როგორც ჩამოვა, მაშინვე დავაყრი შენს საფქვავს. — დაპირდება სოლო და მიუთითებს ხვიმირაზე: — არა მგონია ამაღამ იმას მოუნდეს. თუ ჩამოვიდა, დავაყრი შენსას. ისიც დამიგვიანდა, დღესა მაქვს ვადა.

რომ არ დააგვიანოს — ისევ ძლვენი და გულის მოგებაა საჭირო. ასეა თუ ისე, მე იმას ვჩივი, ყველამ რომ ამათვალწუნა და სხვაზე მეტად მე მაძაგებენ. — დაასრულა თავისი გრძელი საჩივარი სამინდე ჯამშა.

— წრუ! წრუ! შენ კიდევ რა გიშავს, სამინდე ჯამშ, თუ საფქვავის პატრონს სძულხარ, მეწისქვილეს მაინც უყვარხარ და მიაჩნიხარ. მე კი ყველა მემტერება. — დაიწრუწუნა ფქვილში ამოგანგლულმა წისქვილის თავგმა. — რაც მართალია და მართალია, ყველაზე მეტად მდიღარ გლეხებს ვამწარებ. მარცვლით სავსე ტომრებს ურმით რომ მოაყენებენ წისქვილის კარსა და დააწყობენ აქა. მე


სოროდან ვუთვალთვალებს და პირში ნდომის ნერწყვი უხვად მომდის. დაიფქვება მარცვალი. — აბა, რკალი მოიმარჯვეთ, რომ ცარიელი ტომრის ფეხზე დასაყენებლად კაცს მშველელი არ დასჭირდეს, ნიჩაბი მომაწოდეთ, სატენი კეტი სად-ლაა? — მოისმის აქეთ-იქიდან ფუსფუსი.



ტომრის რკალი.

აივსება ფქვილის ტომრები. მოუკრავენ პირსა. როგორც კი დროს ვიხელთებ, გამოვჭრი ტომარას და გემრიელი ფქვილით გავსისინდები. ზოგიერთი ჩემი მოძმე, დანარჩენი აქაური თაგვები, იმ ფქვილსაც ჯერდებიან, რომელიც დოლაბების ტრიალით გაჩენილი ნიავ-ქარის წყალბით ყველგან თეთრი მტვერივითაა დაფენილი, ისინი ტომრებს არ სჭრიან, მზამზარეული სუფრა კაცს აზარმაცებს, მე კი ბრძოლითა და შრომით მოპოვებული ლუკმა მირჩევნია, უშრომელ ლუკმას ან რა გემო აქვს! აი, მოაჭრიალებენ ურმებს ტომრების წასალებად დაუდებენ ურემს პირმოკრულ ტომრებს, მაგრამ, ერიჰა, ტომრის გვერდი გამოხრული აკი აღმოჩნდება! ვაი, ჩემი ბრალი! უნდა უყურო მაშინ — როგორ ააშედრებენ ჩემს წინააღმდეგ თავის-თავად უწყინარს, ახლა კი გამგელებულს დაუნდობელ

სათაგველას. ღარიბები მაინც არ უნდა მდევნიდენ. მათ  
ხომ არ გააჩნიათ წისქვილში გასაჩერებელი ფქვილი! მხარ-  
ზე გადებულ რაღაც ნახევარ ტომარას მოიტანენ, დაფ-



სათაგველა.

ქვას იქვე დაუცდიან, ვერც კი მოვასწრებ მათი ტომრის  
დაზვერვას და უკვე შინისაკენ მიარბენიებენ. მეწისქვილის  
სიავე კი პირდაპირ მიკვირს და გამკვირვებია! იმას რაღა


დავუშავე? მის ნაოფლარს ხომ არ ვითვისებ? მგელს მგლობა შეერქვა და ტურამ ქვეყანა ამოაგდოო! განა ჩემზე უფრო დიდი თაგვი არ არის თვითონ მეწისქვილე? მაგრამ სათაველას მას არავინ უგებს. ჩემი ცოდვა არ გაგახარებს, მსუნავო მეწისქვილე, როცა იქნება შენთვისაც მოიცლის სამართალი!

— ხმა ჩაიწყვიტე, თვითონ მსუნავო და ერთიც მეტო! — გაუჯავრდა თაგვს სარიხინო. — სამინდე ჯამს სიტყვა-პასუხში ვერ გამოვყევი, შევატყე დამძლევდა, მაგრამ შენ კი რა გეთქმის, პირშავო? ბევრჯერ გვინახავს მეწისქვილე შენგან აცრემლებული: ტომრების გამოჭრას კიდევ ვინ ჩივის, ამას საფქვავის პატრონიც დაინახავს, მაგრამ მაგარი ისაა, ქვეშა-დოლაბის ირგვლივ შემოგლესილ მიწას რომ გათხრი ზოგჯერ და დოლაბებიდან ჭინახული წის-ქვილის ქვეშ შიგ წყალში ცვივა! არ გაუდის მაშინ მეწისქვილეს არც ფიცი, არც მტკიცი, ეუბნებიან — ტყუილის მთქმელს მართალიც აღარ დაეჯერებაო. ჰაიგიდი, რომ მეწისქვილეს შენთან მარტო სათაველათი უხდება ბრძოლა და **თაგვის საწამლავ შაქარს** ძალა არა აქვს! დაგიყრის საწამლავს, შესჭამ, გახურდები, სულ გეწვის შიგნეულობა, მაგრამ, წყეულო, შენ-და იღბლად აქვე ახლო წყალი ულეველი გაქვს, გაეშურები მისკენ, დაეწაფები მხურვალ გულზე და ხელად გაგრილდები, სიკვდილს გადაურჩები. სათაველასაც რომ ალლო აართვი და მაგ სამიწე თავს მოხერხებულად არიდებ! გასწი, დაიკარგე აქედან, შე კუდიანო შენა! რიხ-რიხ, რიხ-რიხ! — დაუცაცხანა მეწისქვილის მოსარჩევ სარიხინომ და დოლაბზე ისე მძლავრად არიხინდა, რომ თაგვი დაფრთხა, გზა-კვალი აერია, ტახტზე ავარდა, უნებლიერ მეწისქვილეს პირი-

სახეზე ტყაპა-ტყუპით გადაევლო თათების ტიტველი, გრი-  
ლი ტერფით და სოროში მიიმალა.



მეწისქვილემ თვალი გაახილა. გათენებულიყო. თაროზე  
ჭრაქი ბოლავდა. წამოდგა. დაუშვა ფაცხას ასაწეველა,  
გარეთ გავიდა — მისწია საყენებელა და გადააგდო წყა-  
ლი. ახივლებული წისქვილი გაჩერდა.

— ცხადი იყო, თუ სიზმარი? — შეისხურა მეწისქვილემ  
რუს ანკარა წყალი ნამძინარევზე. — ისევ უანგარო სარი-  
ხინო, თორემ ყველამ დაივიწყა ჩემი ამაგი. ჰმ! რატომ  
ვერ გრძნობენ, რომ უჩემოდ თითოეული მათვანი არა-  
რაობას წამოადგენს. ან სამინდე ჯამს რათ სცვივა თვა-  
ლები და ეხარბება — მე რომ რამე შევიძინო? მეც ვარ თუ  
არა კაცი და მხურავს თუ არა თავზე ქუდი? წინათ სო-  
ფელში თავ-კაცად ვითვლებოდი, ყველას ჩემი რიდი ჰქონ-  
და, დღეს კი ვინ გინდა რომ არ ამხირებია! ჯერ იყო და



ხელსაფქვავი.

უბრალო ხელსაფქვავი გამოიგონა ჩემმა შორეულმა წი-  
ნაპარმა. აიღო ორი მომცრო მრგვალი ქვა, დაადო ერთ-  
მანეთზე ისე, რომ ზედა-ქვა თავისუფლად წამოაცო ქვეშა-  
ქვის ძუძუზე, ზედა-ქვას განაპირა ადგილას გაუკეთა სახე-



წისქვილის განაკვეთი — ჩანს: წისქვილის ყველა ნაწილი.

ლური და ეს იყო და ეს, ხელით ატრიალებდა ზედა-ქვას  
ქვეშა-ქვაზე და ასე ფქვავდა მარცვლეულს. ზოგან ეს ხელ-  
საფქვავი დღესაც აქვთ ოჯახებში, ნამეტურ უწყლო ად-  
გილებში. ის დავიწუნეთ და ახლა ასეთი დიდი და დიდე-  
ბული წისქვილი გავმართეთ. გამომგონებელს გამოგონე-  
ბულისაგან განა აუგი ეთქმის? მაგრამ ეჭ, ვინც რა უნდა  
თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო! ან რა ჭკუა უნდა მოსთხო-  
ვო თავცარიელა სამინდე ჯამსა იმის შემდეგ, რაც ჩემი  
განათლებული ღვიძლი შვილი გადამდგომია: მამაჩე-  
მოო, — მეუბნება ღოინჯშემოყრით, — რაც ღრო გადის,  
შენც ფასი გეკარგება და შენს წისქვილსაცაო, დღეს თუ  
ხვალ ჩვენი სოფლის კოლმეურნეობა ელექტრონის დიდ  
წისქვილს გამართავს და შენი წისქვილის ამბავი საბავშო  
ზღაპრად გადაიჭცევაო. მაშ, უნდა გაუქმდეს ჩემი წის-  
ქვილი?

დე, გაუქმდეს!


ოლონდ... მინდი? მინდი რომ მინდა?!

## სიტყვების საპირალი.

- |                            |                          |
|----------------------------|--------------------------|
| ალა 12, 13, 14             | მეწისქვილე 5, 7, 11, 13, |
| არქი 8                     | 14, 16, 17, 19, 20, 21,  |
| არხი 5, 7                  | 22, 23, 24, 26, 27, 28   |
| ბორბალი 6, 7, 8, 13        | მინდი 20, 30             |
| ბუკი 15                    | მოკოდვა დოლაბის 9        |
| ბურთი ბორბლის 13           | მომკოდელი 10             |
| გული დოლაბის 9             | ნალი 18, 19              |
| დოლაბი 8, 9, 12 19, 25, 27 | ნიჩაბი 14, 25            |
| ზედა — დოლაბი 8, 10, 11,   | ორკაპი 13                |
| 12, 13, 15, 16             | პირი ქუბაკის 12          |
| ზურგი დოლაბის 9, 11        | პირი კრიჭასი 16          |
| თავ-აღგმული ჯამი 20        | რიკი 16                  |
| თავი-ჯამი 20               | რიყის ქვა 16             |
| თავხე ხვიმირასი 15         | რკალი 25                 |
| თავხე კრიჭასი 15           | როში 14                  |
| თვალი დოლაბის 15           | რუ 5, 6                  |
| კოდი 19                    | სათაგველა 26, 27         |
| კოკოშა 15                  | სათავე წისქვილის 5, 6    |
| კოჭა 16                    | საკოდელი 9, 11           |
| კრიჭა 15, 16               | სამინდე ჯამი 20, 24, 27, |
| კრიჭას ასაწეველა თოკი 16   | 28, 30                   |
| მაწირობა 22, 23            | სარეგელა 15              |

- სარიხინო 16, 27, 28  
სარიხინოს თოკი 17, 18  
სარტყელი ხვიმირასი 15  
სასწორი 20, 21, 22, 23, 24  
საფქვავის პატრონი 20, 22,  
23, 24, 27  
საყენებელა 6, 7, 13, 28  
საძირკველი დოლაბის 11  
საძირკველი წისქვილის 13  
საწყავი 21  
სახელური ხელსაფქვავის 28  
სილა-ჯამი 20  
სოლი 11, 14  
ტომარა 22, 24, 25, 26, 27  
ტომრის სატენი კეტი 23, 25  
ფარცხი 6, 7  
ფაცხა 13, 14  
ფაცხას ასაწეველა კეტი 13,  
14, 17, 28
- ფეხი ბორბლის 13  
ქვეშა-დოლაბი 8, 9, 10,  
12, 13, 15, 16, 27  
ჭუბაკი 12, 14  
ღარი 6, 7, 13  
ღერძი 7, 8, 9, 13  
ყანთარი 23, 24  
ჩანახი 19, 20, 21, 22, 23  
ძუძუ ხელსაფქვავის 28  
წისქვილის თაგვი 24, 27  
წმინდად ფქვა 13, 14  
ჭდე 23, 24  
ჭრაქი 30  
ხანი დოლაბის 9, 11  
ხელსაფქვავი 28  
ხივილი 19, 28  
ხვიმირა 7, 14, 15, 17, 18,  
19, 24

91  
2742



~~361~~  
10-22

17-75